საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იუნკერთა სკოლა

იუნკერთა სკოლა, ქართული სამხედრო სასწავლებელი. დაარსდა თბილისში 1919. მდებარეობდა პლეხანოვის (ახლანდ. დავით აღმაშენებლის) გამზირზე სამხედრო სასწავლებლის შენობაში. სკოლის შექმნის ინიციატორი დაპირველი დირექტორი იყო გენ. გ. კვინიტაძე.

ი. ს-ში სასწ. პროცესი ორწლიანი იყო – პირველ წელს ხდებოდა საერთო თეორ. და პრაქტიკული ცოდნის მიღება, ხოლო მეორე წელს სწავლება იყო დიფერენცირებული: ქვეითი ჯარის, მესანგრეთა ჯარის, ცხენოსანთა ჯარისა და საარტილერიო ჯარის დარგებად.

პროგრამა ითვალისწინებდა ისეთი საგნების შესწავლას, როგორიცაა სამხ. ისტორია, ტაქტიკა, ტოპოგრაფია, ფორტიფიკაცია, საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა და სხვ.

ნოემბერში მიიღეს ახალწვეულები, რ-თაგან შეიქმნა სამი ქვეითი ჯარის ასეული, ერთი მეტყვიამფრქვევთა ასეული, მესაზღვრეთა ნახევარასეული, ხოლო მოგვიანებით დაემატა საცხენოსნო პოლკის ოცეული. გ. კვინიტაძესთან ერთად სკოლაში მოღვაწეობდნენ პოლკოვნიკი ა. ჩხეიძე (დირექტორი გ. კვინიტაძის შემდეგ), კლასების ინსპექტორი ქ. ჩხეტიანი, ივ. ჯავახიშვილი, ი. კაკაბაძე; პედაგოგები, მ. შ. ვ. ბარნოვი.

სამხ. სკოლის მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღეს რუსეთის რეგულარული არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში (იხ. თბილისის დაცვა 1921; კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლები 1921).

სკოლამ არსებობა შეწყვიტა 1921, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ.

ლიტ.: მ ა თ ი კ ა შ ვ ი ლ ი ნ., კ ვ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი მ., იუნკრები, თბ., 1990; ს ა ი თ ი ძ ე გ., გენერალი გიორგი კვინიტაძე და თბილისის ქართული სამხედრო (იუნკერთა) სკოლა, კრ.: ისტორიანი, თბ., 2009. კ ვ ი ნ ი ტ ა ძ ე გ., ჩემი მოგონებები. 1917–1921, თბ., 2014.

მ. ზალდასტანიშვილი